ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი № 25

სხდომის ჩატარების დრო:

29 ნოემბერი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდამეხუთე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი თ.ნადირაძე, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, თ.მესხი, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 35 წევრიდან - 25 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: ტ.ლილუაშვილი, მ.ჩიხლაძე, ბ.ხამაშურიძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

სულ: 10 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი დ.ერემეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი, ბატონი დ.ინანეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი გ.სანდუხაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელი, ქალბატონი ლ.სვანაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოქალაქეები: გიორგი ტურაბელიძე, ირაკლი ტურაბელიძე, ადვოკატი ლელა ბანძელაძე.

დღის წესრიგის პროექტის წარდგენამდე, ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ ბულვარში მდებარე კაფე **„სავანესთან“** დაკავშირებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისა და სხდომაზე დამსწრე მოქალაქეების მიერ გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ლაშა შალამბერიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მინდა განცხადება გავაკეთო, ვიდრე დღის წესრიგის განხილვაზე გადავალთ. დღეს საკრებულოს სხდომას ესწრებიან მოქალაქეები, ბატონები: გიორგი და ირაკლი ტურაბელიძეები. მათი ადვოკატი, ქალბატონი ლელა ბანძელაძე. ეს ადამიანები გახლავთ კაფე „სავანეს“ დამფუძნებლები და მფლობელები, რომელთაც სამწუხაროდ, წაართვეს იმის უფლება, რომ ამ ქვეყანაში აწარმოონ ბიზნესი, იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლება აცხადებს, რომ ბიზნესი საქართველოში თავისუფლად სუნთქავს, ყველანაირი დარღვევით მათ მთლიანად წაართვეს ბიზნესის წარმოების საშუალება. სამწუხაროა, რომ ქალაქის მერი უკვე საკრებულოს რამდენიმე სხდომას არ ესწრება. აქ არც ბატონი იუზა უგულავა ბრძანდება, მათი პასუხები მაინტერესებდა ამ საკითხთან დაკავშირებით, რატომ დაუპირისპირდნენ ამ ადამიანებს, რატომ ართმევენ ამ შენობას, რატომ გააქვთ აუქციონზე და რატომ სურთ გაყიდონ აუქციონის წესით და რას აპირებენ საერთოდ ამ თემასთან დაკავშირებით. ბატონ დავით ერემეიშვილს მივმართავ, რა მოტივაციით დაუპირისპირდა მთელი ჩინოვნიკური აპარატი ამ ხალხს, რომ თავისი ბიზნესი დაეკარგათ? ეს კაფე ქუთაისში 1973 წლიდან არსებობს. აქ, ალბათ, არ არის ისეთი ადამიანი, ვინც ოდესმე არ ყოფილა იმ კაფეში და კარგი შთაბეჭდილება არ გამოყოლოდეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კობა გურული** (პოლიტიკური პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი“): „ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა გამოვთქვა მოსაზრება. თუ არ ვცდები, აქ არის ერთი კაზუსი და კარგი იქნება თუ მოვისმენდით. მე დავინტერესდი ამ საკითხით. საჯარო რეესტრის ამონაწერში დატანილი არ არის შენობა. ამ დროს სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მისი დანგრევის შესახებ. არ არსებობს შენობა და ვანგრევთ. ეს კაზუსია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დავით ერემეიშვილი:** „ეს დავა წლებია გრძელდება თვითმმართველობასა და მოქალაქეებს შორის. ეს დავა ბატონო ლაშა, თქვენი მმართველობის პერიოდშიც მიმდინარეობდა. თქვენ თავის დროზე რატომ არ მიიღეთ გადაწყვეტილება და რატომ არ გაეცით ნებართვა? 28 ნოემბერს გამოვიდა სასამართლო გადაწყვეტილება, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ყველაფერი პირველივე დღიდან, როდესაც მეპატრონეები მერიასთან დავაში შემოვიდნენ. ნებისმიერ თქვენთაგანს შეგიძლიათ გაეცნოთ და წაიკითხოთ აღნიშნული დასკვნა. როდის იყავით ბოლოს ამ კაფეში ბატონო ლაშა თუ გახსოვთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ლაშა შალამბერიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „რამდენიმე წლის წინ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დავით ერემეიშვილი:** „თქვენი პარტიის მმართველობის დროს დაიწყო ამ შენობაზე დავა, ვინაიდან მაშინაც ვერ მოხერხდა კანონიერ მფლობელობაში გადმოცემა.“

მოქალაქე **გიორგი ტურაბელიძე:** „სიცრუეა ბატონო დავით და მოგიწოდებთ სიმართლე ილაპარაკოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დავით ერემეიშვილი:** „არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება.“

მოქალაქე **გიორგი ტურაბელიძე:** „რომელ სასამართლოზე მესაუბრებით, სანქცირებულ სასამართლოზე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „პოლემიკაში ნუ შემოდიხართ. პირველ რიგში მესმის, თემის სიმწვავე და პოლიტიკური პროცესის წარმართვის ნაწილი. ბატონო ლაშა, ეს თქვენგან გამომდინარეობს, თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით არასოდეს კომენტარი არ გამიკეთებია და ყველაზე მართებულია სამართლებრივად და რეალურად სიმართლეს დაადგენს კონკრეტული სუბიექტის მიმართ სასამართლო. არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება. მეტ კომენტარს ნამდვილად ვერ გავაკეთებ. შეგიძლიათ, იხილოთ სასამართლო გადაწყვეტილება. თუ კიდევ ჩნდება კითხვის ნიშანი, რომელიც სუბიექტს

ექნება, მოქალაქეებს ექნება, ამ პროცესს უნდა ქონდეს მკაფიო პასუხები. თუ საკრებულოს, საკრებულოს დარგობრივ კომისიას, იურიდიულ კომისიას შეუძლია რამე მედიაციის შესრულება, ჩვენ ამისათვის მზად ვართ. ამ საკითხის პოლიტიზირება მიუღებელია. მიუღებელია თქვენგან, როდესაც კერძო საკუთრების ხელყოფაზე საუბრობთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ლაშა შალამბერიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „რომელ სასამართლოზე საუბრობთ, სადაც მურუსიძეები და ჩინჩალაძეები არიან? სრულებით გამოვრიცხავ საკითხის პოლიტიზირებას. უბრალოდ, არიან მოქალაქეები თავიანთი საჭირბოროტო საკითხების გასარკვევად მოსულები. აინტერესებთ კონკრეტული პასუხები. სამწუხაროდ, სხდომაზე არ გვესწრება ქალაქის მერი, რომელიც უკვე კარგა ხანია, აღარ ესწრება სხდომებს, რომლის მოვალეობაცაა იყოს აქ და გასცეს მოქალაქეების შეკითხვებს პასუხები. აქ ჩემი პირადი პოლიტიკური ინტერესი არ არსებობს განსხვავებით „ქართული ოცნების" ხელისუფლებისგან."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „კიდევ ერთხელ ვიმეორებ. თქვენი პოლიტიკური გუნდიდან ამ ტიპის განცხადებას ვერ მივიღებ."

მოქალაქე **გიორგი ტურაბელიძე**: „მოქალაქეებისგან ხომ მიიღებთ ბატონო ირაკლი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე გაგეცით პასუხი ბატონო გიორგი. პოლემიკაში რატომ შემოდიხართ. თქვენ გაქვთ და გქონდათ სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა საკრებულოს შესაბამის სხდომაზე. რეალურად რეგლამენტსაც არღვევთ. როდის გითხარით უარი შეხვედრაზე და კომუნიკაციაზე, ან იყო ოდესმე შეხვედრა, რომ უარი გითხარით კომუნიკაციაზე? თქვენ სიტყვით გამოსვლის უფლება გქონდათ სხდომის დასრულების შემდეგ."

ადვოკატი **ლელა ბანძელაძე:** „მე ვარ ადვოკატი ლელა ბანძელაძე. როდესაც მოვითხოვე სკვერის სტატუსის მოხსნა, მერიამ მიპასუხა, არ მინდა და არ გამაქვს საკრებულოს სხდომაზეო. რისთვის ხართ ეს ამდენი ხალხი არჩეული, აქ რატომ სხედხართ ?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“): „ბატონო ირაკლი, მე მესამე მოწვევის საკრებულოს წევრი ვარ. წამიკითხავს და პრაქტიკიდანაც ვიცი, საკრებულოს სხდომაზე განცხადების გაკეთების ფორმა. მისაღებია, განცხადება საკითხების განხილვის შემდეგ გააკეთოთ. “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ლაშა შალამბერიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „სხდომის საკითხების განხილვის შემდეგ განცხადებებს არავინ უსმენს, არავინ რჩება სხდომათა დარბაზში. მოქალაქეები ხუთჯერ იყვნენ მოსული. მოთხოვნილი ქონდათ ქალაქის მერთან შეხვედრა. არც ერთი მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული. ბატონი იოსებ ხახალეიშვილი არც ერთხელ არ შეხვდა მოქალაქეებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „მოქალაქეების მოსასმენად ყოველთვის ვრჩებით დარბაზში.“

მოქალაქე **გიორგი ტურაბელიძე:** „საიდან გაჩნდა ბატონო დათო, თქვენს ხელში სასამართლო გადაწყვეტილება, წინასწარ თუ არ იცოდით ჩვენი მოსვლის შესახებ?“

ადვოკატი **ლელა ბანძელაძე:** „ნუ არიდებთ თავს ამ საკითხზე საუბარს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „არაფერს არ ვარიდებ თავს. მე გითხარით, ნებისმიერი ფორმით თქვენ საკითხში თუ საკრებულოს ჩართულობა დაგჭირდებათ, მზად ვართ. ავარჩიოთ კომუნიკაციის ფორმა, შეხვედრა დავნიშნოთ და ვისაუბროთ. თქვენ ახლა ესაუბრებით საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარეს. მე ვიცი, რომ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება და გთხოვთ, წაიკითხოთ.“

მოქალაქე **გიორგი ტურაბელიძე:** „სანქცირებულ სასამართლოში? რუსულ სასამართლოში?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებთ. მხარე ხართ. სჯობს, დავასრულოთ ეს ყველაფერი. მე პირობას გაძლევთ, სხდომის დასრულების შემდეგ

გადავინაცვლოთ ჩემს კაბინეტში. რა საკითხებიც გაქვთ წარმოადგინეთ. იურიდიული კომისია, კომისიის თავმჯდომარე აქ იქნება, ერთად გავიაროთ რა კითხვებიც გაქვთ.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 - ე სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დემურ ინანეიშვილი
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დემურ ინანეიშვილი
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას ანგარიში 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აუდიტის სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2023 წლის ნოემბერი) გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გაგა სანდუხაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის-შიდა აუდიტის სამსახურის
ხელმძღვანელი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი ლანა სვანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა
და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების
ხელმძღვანელი

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს 25-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ტ.ლილუაშვილი, მ.ჩიხლაძე, ბ.ხამაშურიძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო საკრებულოს 7-მა წევრმა: გრ.შუშანიამ, გ.კილაძემ, გ.მანაგაძემ, ქ.ხურციძემ, რ.ქვაჩაკიძემ, ლ.შალამბერიძემ, თ.მესხმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25-ე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტის კენჭისყრის დასრულების შემდეგ, მოქალაქეებისა და საკრებულოს ოპოზიციური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მიერ, სხდომაზე კვლავ გაგრძელდა ხმაურიანი გამოსვლები. **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** მათ რამდენჯერმე მოუწოდა წესრიგისკენ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე:** „წამიერად რომ წარმოიდგინოთ თავი ოპოზიციაში. ის სასამართლო, რომელიც სანქცირებულია ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტის მიერ, მის გადაწყვეტილებას დაეთანხმებოდით თუ არა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მერაბ ჭოხონელიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“): „ჩვენ რა შეგვიძლია, სასამართლო გადაწყვეტილებას დავეთანხმებით თუ არა, რა შეიცვლება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „პატივი უნდა ვცეთ სასამართლო გადაწყვეტილებას. სასამართლოს სტატისტიკა ამოიღეთ, რამდენი გამამართლებელი განაჩენი აქვს სასამართლოს დადებული. სასამართლოს ნდობის სტატისტიკა, ბოლო კვლევა და მონაცემები ამოიღეთ.“

ადვოკატი **ლელა ბანძელაძე:** „არ გაინტერესებთ. მე გეუბნებით სამართლებრივ გზას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „რა სამართლებრივ გზას გვეუბნებით? მაშინ მიიღეთ ახალი რეგლამენტი და ახალი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენ აწყობთ პროვოკაციას და გაქვთ მცდელობა, ჩაშალოთ საკრებულოს სხდომა. ეს არის თქვენი მიზანი.“

ადვოკატი **ლელა ბანძელაძე:** „ჩემი უფლებაა გავაკეთო ინიცირება საკრებულოს სხდომაზე. მერი ბლოკავს თემას. ეს თემა არ მოდის თქვენამდე და თქვენ ხომ უნდა დაინტერესდეთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ხომ გეუბნებით, სხდომის დასრულების შემდეგ, ვიმსჯელოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „სხდომას დავანებოთ თავი და ამ თემაზე ვიმსჯელოთ? გეუბნებით, რომ ვიმსჯელოთ სხდომის დასრულების შემდეგ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „რა ფორმით მოგიწოდოთ, რომ დამშვიდდეთ. იძულებული ვარ სხვა სამართლებრივ ფორმას მივმართო. თქვენ გაქვთ მცდელობა, სხდომა ჩაშალოთ.“

მოქალაქე **ირაკლი ტურაბელიძე:** „აქ რეგლამენტზე საუბრობთ და არ ანიჭებთ მნიშვნელობას სკვერს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ჩვენთვის მნიშვნელოვანია სკვერის რეაბილიტაცია.“

მოქალაქე **ირაკლი ტურაბელიძე:** „დააყენეთ სხდომაზე ეს საკითხი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „რის საფუძველზე დავაყენოთ საკითხი, ჩვენ არც პეტიცია გვაქვს. ჩვენთან არაფერი არ არის შემოსული.“

მოქალაქე **ირაკლი ტურაბელიძე:** „ქუთაისის მერი წინ და უკან ნუ გვარბენინებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ეს ხალხი ითხოვს ერთი კონკრეტული ადამიანისგან პასუხს და ის ხან სად იმყოფება და ხან სად.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი შენგელიას წინადადებით, გამოცხადდა შესვენება 10 წუთით.

შესვენების დასრულების შემდეგ, დაიწყო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ - დარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალ - დარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსმა, ბატონმა **დემურ ინანეიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „შეიცვალა ორგანული კანონმდებლობა. ცვლილებები იქნა შეტანილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში. ჩვენ ვცდილობთ ჩვენი ადგილობრივი კანონმდებლობა მას დავუკავშიროთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კობა გურული** (პოლიტიკური პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი“): „საკითხი ეხება აღნიშნულ სამსახურს. მე მქონდა რამდენიმე შემთხვევა. სულხან - საბას გამზირზე, გზის სავალ ნაწილზე იყო სამშენებლო ნარჩენების დაყრის ფაქტი, ასევე ბეტონ - მომრევი მანქანის რამდენიმე შემთხვევა იყო. მქონდა ბატონ დემურთან კომუნიკაცია და მყისიერი რეაგირება მოყვა აღნიშნულ პრობლემას. მინდა ჩემი სახელით და კოლეგების სახელით მადლობა გადავუხადო მას ამ რეაგირებისათვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პ.ლილუაშვილი, მ.ჩიხლაძე, ბ.ხამაშურიძე, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა საკრებულოს 1-მა წევრმა, ბატონმა გრ.შუშანიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსის, **დემურ ინანეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №75** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის**

საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსმა, ბატონმა **დემურ ინანეიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ზოგადად ეს პროცესი ალბათ რთული იქნება სამსახურისათვის. ბევრ გამოწვევასთან იქნება დაკავშირებული. მათ შორის ადამიანურ შესაძლებლობებთან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ჩვენ ამ საკითხზე ვიმსჯელეთ კომისიის სხდომაზე და ჩემი აზრით, ეს საკითხი არ არის ბოლომდე შესწავლილი, ან აკლია რაღაც, მაგალითად, როგორ ხდება საქონლის დაფასოება, სად ინახება ის, ქუთაისის მერიაში ადგილიც არ არის გამოყოფილი. ასეთი სახით ამ საკითხის დატოვება გამოიწვევს იურიდიულ კაზუსს. შეიძლება, ბევრი არ წავიდეს სასამართლოში, მაგრამ ბევრ საქმეს წავაგებთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „ბატონო დემურ, კარგი იქნება, რომ განვმარტოთ ეს საკითხი. სიტყვები: კონფისკაცია, ჩამორთმევა ცუდად ჟღერს, აქამდე ხომ მივდივართ რაღაც გზით. რა ეტაპებია გასავლელი, ვიდრე თვითმმართველობა კონფისკაციას მოახდენს, როგორ აფრთხილებს მოქალაქეს, მერე მოყვება მცირედი საჯარიმო სანქცია თუ არა, ესენი განვმარტოთ, რომ იცოდეს მოსახლეობამ რას რა მოსდევს.“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **დემურ ინანეიშვილი:** „დღესაც

ვაფრთხილებთ მოსახლეობას კოლექტიურ რეჟიმში, თუ რა მოსდევს გაფრთხილების გაუთვალისწინებლობას. ვინც ითვალისწინებს, მას არანაირი საჯარიმო სანქცია არ ეხება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კობა გურული** (პოლიტზიკური პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი“): „რამდენად შესაბამისობაშია კანონი ადამიანის უფლებასთან, რომელიც კონსტიტუციური მუხლითაა დაცული: კონფისკაცია, ქონების ჩამორთმევა. რამდენად სამართლიანადაა ეს კონფისკაცია ადამიანის უფლებებთან და კონსტიტუციასთან მიმართებაში?“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **დემურ ინანეიშვილი:** „აღნიშნული კანონი მიიღო პარლამენტმა და გადმოეცა თვითმმართველობას. მას აღასრულებს ადგილობრივი თვითმმართველობის მუნიციპალური სამსახური.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება გაქვთ?“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი **დემურ ინანეიშვილი:** „სიტყვიერი გაფრთხილება არის პირველი ეტაპი ქალბატონო მარეხ. თუ არ იქნა ეს გაფრთხილება გათვალისწინებული, შემდეგ არის საჯარიმო სანქცია და საქონლის (პროდუქტის) ჩამორთმევა. შესაბამისი აქტით და კანონმდებლობის დაცვით. “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „ჩვენ, კომისიამ გავეცით რეკომენდაცია, რომ მოვიძიოთ რამე ფართი, სადაც მოხდება ჩამორთმეული პროდუქციის განთავსება იმ შემთხვევაში, თუ ეს არ იქნება მალფუჭებადი. კანონში ცვლილება შესულია 2023 წლის სექტემბერში. თბილისის მერიას აქვს კარგი პრეცენდენტი, რომ გადაეცემა იმ ა(ა)იპებს და იმ უწყებებს, რომლებიც შესაბამის საქმიანობას ეწევიან. სადაც შეიძლება, ისინი იქნან გამოყენებულნი. ბატონ გიგას მინდა ვუპასუხო, რომ ჩვენ ამ თემაზე ვისაუბრეთ და აღვნიშნეთ, რომ კონკრეტული ფართი

უნდა იყოს გამოყოფილი. ამ სამსახურს აუცილებლად სჭირდება თანადგომა. ეს არ იქნება მარტივი პროცესი, მაგრამ აქ აუცილებლად დაცული უნდა იყოს მომხმარებელთა უფლებები. კანონში მითითებულია, გარე ვაჭრობა ნებართვის გარეშე. ეს მომხმარებელთა უფლებების დაცვას გულისხმობს, რომ პროდუქცია ევრო სტანდარტებით იყოს ნებადართული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პ.ლილუაშვილი, მ.ჩიხლაძე, ბ.ხამაშურიძე, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 17 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა საკრებულოს 2-მა წევრმა, ბატონებმა: კ.გურულმა და გრ.შუშანიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსის, **დემურ ინანეიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება №76** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას ანგარიში 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“**

თავდაპირველად, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** ანგარიშის თაობაზე გააკეთა ზოგადი მიმოხილვა: „კიდევ ერთხელ მოგესალმებით. როგორც იცით, მოქალაქეებს 31 ოქტომბერს

წარვუდგინე ერთი წლის ანგარიში საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობის შესახებ. მინდა გითხრათ, რომ ზოგადად, ანგარიშვალდებულების ნაწილი, ღიაობა და გამჭვირვალობა საკრებულოსათვის განსაკუთრებული და გამორჩეულია. მე მინდა, განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა ჩემს კოლეგებს, დეპუტატებს, რომლებიც წარსდგნენ ანგარიშით მოქალაქეების წინაშე. კარგია, რომ ეს პასუხისმგებლობა მაღალი დოზით არსებობს საკრებულოში და ვიმედოვნებ, რომ მოქალაქეების მიმართ ყოველთვის გვექნება ჩვენი პასუხები და მოვახსენებთ იმ განხორციელებული საქმიანობის შესახებ, რომელსაც ვეწევით, როგორც წარმომადგენლობითი ორგანო.

ჩვენ ვგეგმავთ „USAID“-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში და უკვე არსებობს ტექნიკური დავალება და ეს ვებ გვერდის მოდერნიზებას გულისხმობს. ამაში შესაბამის თანხებიც გვაქვს მობილიზებული 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში. ვებ გვერდი დაიხვეწება და იქნება დამოუკიდებელი და ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია, რომელიც ექვემდებარება პროაქტიულად გამოქვეყნებას, იქნება ყველასთვის ხელმისაწვდომი.

30 ოქტომბრიდან შეიცვალა თვითმმართველობის ინდექსი, რომელიც გამოქვეყნდა შესაბამის ვებ გვერდზე. ღიაობის ნაწილში, საკრებულოს პოზიცია მნიშვნელოვნად წამოიწია. შეფასების ნაწილში ავიღეთ 60 %. საკრებულოს პოზიცია გაიზარდა. მერიის შემთხვევაში პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 30-ს. საკრებულოს შემთხვევაში შეადგენს 60-ს. რეალურად ეს არის შესაძლებლობა მოქალაქეებს ელექტრონული ფორმით ნებისმიერი სახის ინფორმაციაზე ქონდეთ წვდომა.

ზოგადად მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს აპარატს სრულად, სრული შემადგენლობით. თითოეული მათგანის ძალისხმევა იყო ძალიან აქტიური ამ პროცესში. მადლობა მინდა გითხრათ საჯარო მოხელეებს, რომლებიც უშუალოდ ხართ ჩართულნი ყოველდღიურ საქმიანობაში და მე ვფიქრობ, თქვენი ძალისხმევის შედეგია, საკრებულო იყოს იმ პრიორიტეტების მიხედვით მეტად ეფექტური, რომელიც მას გააჩნია. ასევე, მოქალაქეების ჩართულობის მხრივ იყოს ეფექტური, თუნდაც ანგარიშის ნაწილში. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა გითხრათ თითოეულ თქვენთაგანს და წარმატებები გისურვოთ.

საკრებულოს აპარატის განყოფილებები უზრუნველყოფენ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას. აქედან გამოვყოფ სამდივნო განყოფილებას, ერთ - ერთს, რომელსაც მისი გაწეული საქმიანობიდან გამომდინარე, პრაქტიკულად ყველა სამართლებრივ აქტთან ქონდა შეხება, რომელიც საკრებულოს მიერ არის მიღებული. 133 სამართლებრივი აქტი იქნა მიღებული. მათ შორის 27 ნორმატიული და 106 ინდივიდუალური აქტი, რომელიც შესაბამისად გამოქვეყნდა „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ გვერდზე.

მინდა შევეხო საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას. ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში, საიტთან დაკავშირებით ვმუშაობთ საზოგადოებასთან ურთიერთობის დოკუმენტზე, იგივე ვებ გვერდის მოდერნიზება, უზრუნველყოფს უფრო მეტ კომუნიკაციას მოსახლეობასთან. შესაბამისად, განყოფილებას გაწეული საქმიანობისათვის მინდა მადლობა გადავუხადო.

ადმინისტრაციული სამსახურის მიერ ხდება სხვადასხვა საკითხების ადმინისტრირება. მათ შორის ადმინისტრაციულ ნაწილში. რეალურად დავხვეწეთ სხვადასხვა განცხადებები, მათ შორის საწვავის მოხმარების ხარჯების მონიტორინგი და ასე შემდეგ. ამ პროცესმა მართლაც დაგვანახა, რომ რეალურად ამ განყოფილების მიმართ, ერთის მხრივ ინტერესი და მეორეს მხრივ საქმიანობის დახვეწა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თითოეულ მათგანს მე მინდა მადლობა გადავუხადო. კომისიების საქმიანობის უზრუნველყოფა ძირითადად ამ ადამიანებზეა. თითოეულ მათგანს მინდა წარმატებები გისურვოთ საქმიანობაში.

რაც შეეხება ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას, მეორე ადგილზეა დოკუმენტების შექმნის ნაწილში. ეს ადამიანები მთელი კვირის განმავლობაში ამზადებენ დოკუმენტებს. ესეც მნიშვნელოვანი განყოფილება გახლავთ. 2024 წლის ბიუჯეტში ჩვენ ასევე შევიტანეთ და მხარს დავუჭერთ იმ ცვლილებას, რომელიც თანამშრომლების გადამზადებას ეხება. შემოვიდა ახალი შესაძლებლობა, რომელიც ნაწილს ეხება, კონკურსის წესით შევარჩიეთ შესაბამისი თანამშრომლები, რომლებიც გაივლიან სტაჟირებას საკრებულოში. კანონმდებლობა იხვეწება და სტაჟირება ხდება

ანაზღაურებადი. სტუდენტების ინტერესი იყო მაღალი და ამაზე მეტყველებს განცხადებების რაოდენობაც.

აქვე მინდა მადლობა გადავუხადო იურიდიულ განყოფილებას. მე ყოველთვის ვარ იმედიანად, მაშინ როდესაც ვიცი, რომ სამართლებრივი აქტები, რომლებიც შემოდის საკრებულოში, ვიცი, რომ მათი მხრიდან იქნება გაექსპერტებული. შესაბამისი დასკვნები იქნება წარმოდგენილი. ამ მხრივ იურიდიულ განყოფილებას, იურიდიულ კომისიასთან ერთად აქვს ერთგვარი, კარგად შემუშავებული ბერკეტები. ეს არის თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკა, რისთვისაც მინდა მადლობა გადაგიხადოთ.

მოქალაქეთა მიღების განყოფილება პირველი ზღურბლია ჩვენს შენობაში, საკრებულოში და მადლობა თქვენ, თითოეულ მათგანს. ალბათ, ყველაზე მეტად რაც მოსაწესრიგებელია, არის ის სივრცე, რომ თქვენ გქონდეთ უკეთესი პირობა, რომ თქვენი საქმიანობა განახორციელოთ. იქნებ მივაღწიოთ შედეგს, რომ სივრცის ადაპტირება მოვახდინოთ. ნებისმიერი განცხადება, მათ შორის წერილობითი განცხადება მოქალაქეების მხრიდან, რომელიც შემოდის საკრებულოში, გადის თქვენთან და ქალბატონო მაკა განსაკუთრებული მადლობა თქვენს თითოეულ თანამშრომელს.

ჩვენ დავნერგეთ პრაქტიკა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, მესამე სექტორს ყოველთვიურად მიეწოდება ის საკითხები, რომლის განხილვასაც ვაპირებთ ჩვენ საკრებულოს სხდომაზე. დაიხვეწა აღნიშნული პრაქტიკა და ეს ინფორმაცია მუდმივად მიეწოდებათ მათ. დეკემბრის თვეში წარვუდგენთ მათ ამ ანგარიშს და ბიუჯეტის პროექტს. ზოგადად მედიასა და მესამე სექტორთან ურთიერთობის კარგი პრაქტიკა გაგვაჩნია. მზად ვართ ეს კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ.

ამ ანგარიშის წარდგენის სამიზნე ჯგუფად იქნა არჩეული ახალგაზრდები. მე მინდა, მადლობა ვუთხრა ახალგაზრდებს, საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ჩვენი შეხვედრა. რაც მთავარია იყო უკუკავშირი, რეალურად ის პროცესი, რომელიც სჭირდება ადგილობრივ თვითმმართველობას. თითოეულ თქვენს წინადადებას ექნება მხარდაჭერა. შესაბამისი წინადადებები, რომლებიც აისახება 2024 წლის ბიუჯეტში. იზრდება თავისუფალი ინიციატივების ნაწილი, ჩვენ ვფიქრობთ, ცალკე პროგრამის სახით

შეიძლება ჩამოყალიბდეს სპორტული ინიციატივები, ამიტომ კიდევ ერთხელ მსურს წარმატება ვუსურვო მერიის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს.

დიდი მადლობა ყურადღებისათვის ბატონებო და თითოეულ თქვენთაგანს წარმატებებს ვუსურვებ.“

ამის შემეგ, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი შენგელიამ** წარმოადგინა ვრცელი **ანგარიში** 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე:** „აქ წარმოდგენილი იქნა ბატონი ირაკლის მოღვაწეობის მხოლოდ მოკლე მონახაზი, იმ დიდი სამუშაოსი, რაც გაწეული აქვს მას ჩვენი მოწვევის საკრებულოში. ნამდვილად უდიდესია ხელმძღვანელის წვლილი, რომ ჩვენი საკრებულო არის პროდუქტიული, გადაწყვეტილებები მიღებულია მშვიდ გარემოში. გავლილი აქვს ყველა კომისია, ყველა საფეხური. მე ვიტყვი ერთ რაიმეს, რომ ამაყი ვარ, ვიყო იმ საკრებულოს წევრი, რომლის ხელმძღვანელია ირაკლი შენგელია. მიუხედავად ჩვენი ასაკობრივი სხვაობისა, მე ბევრს ვსწავლობ მისგან და კიდევ ბევრს ვისწავლი. ნათქვამია: „სწავლა სიბერემდეაო“ და ეს მართლაც ასეა ამ შემთხვევაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მიხეილ გიორგაძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“)**:** „მადლობა ბატონ ირაკლის. მასთან ურთიერთობა არის ძალიან კომფორტული, ჩემთვის, როგორც ახალი წევრისათვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მისი ანგარიში ახალგაზრდებთან ჩემთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ბატონო ირაკლი, ჩვენ ვიცით თქვენი კომპეტენციაც, მუშაობაც. რადიკალურ ოპოზიციასთან რომ მოახერხო ის, რომ არც

ერთხელ არ ჩავარდნილა საკრებულოს სხდომა, არც ერთხელ კვორუმის არ არსებობის გამო არ ჩავარდნილა საკითხი, არ ყოფილა ასეთი შემთხვევა, ეს ყველაფერი ხდება ხელმძღვანელის ძალისხმევით. ის იმსახურებს ოპოზიციიდანაც პატივისცემას. ჩვენგან მხარდაჭერა და პატივისცემა ნამდვილად არ აკლია. მისი მიდგომები, მისი კომპეტენცია, მისი პოლიტიკური გათვლები არის ძალიან სწორი და ამის შედეგია, რომ საკრებულოს მუშაობა არის ძალიან ნაყოფიერი. ძალიან დიდი მადლობა ამისათვის ბატონო ირაკლი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ზაქრო მამასახლისი:** „მეც შევუერთდები ბატონო ირაკლი ამ პათოსს. მე მინდა აღვნიშნო, რომ თქვენი სახით არამარტო ქუთაისს, არამედ, საქართველოს დიდი პოლიტიკოსი ყავს. განათლებული ადამიანია, ღირსეულ ოჯახშია აღზრდილი. მინდა ვუსურვო წარმატებები მომავალ პოლიტიკურ საქმიანობაში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი, **თეიმურაზ ნადირაძე:** „ბატონო გია, თქვენ ბრძანეთ, რომ ასაკის მიუხედავად, ძალიან ბევრ რაიმეს ვსწავლობო, უფრო დიდი ასაკობრივი სხვაობაა ჩვენს შორის. ირაკლის აქვს ყველა ის თვისება, რაც უნდა ქონდეს ლიდერს, პოლიტიკოსს, რომელიც გადის პრაქტიკულ საქმიანობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ირაკლის უამრავი წარმატება ელოდება წინ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „ბატონო ირაკლი, მინდა მადლობა გადაგიხადოთ გაწეული სამუშაოსათვის. ვფიქრობ, რომ აქ დიდი გავლენა იქონია იმან, რომ ხართ ექიმების ოჯახიდან, თავად ექიმი. ყველაზე კარგი მაჟორიტარი გახლავთ ექიმი, რადგან მან იცის მოსმენა. თქვენ მიერ ინიცირებული ცვლილებები ბიუჯეტში არის მაჟორიტარის მიერ აღმოჩენილი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „მე მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო თქვენი მხარდაჭერა ქალების მიმართ. ჩვენ კანონმა კი მიგვითითა, რომ უნდა ვიყოთ გარკვეული რაოდენობით, მაგრამ მხარდაჭერა, რომელსაც უწევთ გენდერულ საბჭოს, ეს

აღსანიშნავია. ბატონმა მიშამ აღნიშნა, რომ თქვენი სეგმენტი, რომელიც გამოყავით, იყო ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენ ვგრძნობთ ქალები თქვენს მხარდაჭერას, ამაში დამეთანხმებიან საკრებულოს ოპოზიციის წევრებიც.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „დიდი მადლობა მინდა მოვუხადო ბატონ ირაკლის პროფესიონალიზმისათვის, საქმიანობისათვის, ყველაფერი იმისათვის, რასაც აკეთებს.“

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას მიერ 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის თაობაზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ბატონმა **გია ბასილაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ბატონმა **გია ბასილაძემ** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პ.ლილუაშვილი, მ.ჩიხლაძე, ბ.ხამაშურიძე, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, **გია ბასილაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას ანგარიში 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“ **განკარგულება №250** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აუდიტის სამსახურის ანგარიში მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2023 წლის ნოემბერი) გაწეული მუშაობის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აუდიტის სამსახურის **ანგარიში** მიმდინარე მოწვევის პერიოდში (2021 წლის დეკემბერი - 2023 წლის ნოემბერი) გაწეული მუშაობის შესახებ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **გაგა სანდუხაძემ.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ზოგადად, უნდა ითქვას, რომ თქვენი სამსახურის ფუნქციონირება და არსებობა არის საკრებულოს აღმასრულებელ ნაწილში ძალიან მნიშვნელოვანი. თქვენს მიერ განხორციელებული საქმიანობა არის ერთგვარი საჯაროობის, საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის საუკეთესო მექანიზმი. სუბიექტური აზრიც შეიძლება არსებობდეს და მათ შორის მეც გამაჩნდეს, ზოგადად აუდიტის სამსახურის არსებობის რა ფორმა შეიძლება იყოს საუკეთესო გამოსავალი. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და აღვნიშნო, რომ ეს სამსახური, რათა გაიზარდოს მისი დამოუკიდებლობის საკითხი, კარგი მაგალითია დედაქალაქის მთავრობის შემთხვევაში, როდესაც აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია და ექვემდებარება საკრებულოს. ხელმძღვანელიც ირჩევა

საკრებულოს მეშვეობით. ნაკლებად ხელმისაწვდომია ჩვენთვისაც დასკვნების საჯაროობა, რომელიც თქვენი სამსახურის მიერ არის განხორციელებული. ამ მხრივაც გვჭირდება საკანონმდებლო ცვლილება. რათა მიღწეულ იქნეს საჯაროობის ეფექტური შედეგები. მე ვფიქრობ, რომ აუდიტის ნებისმიერი დასკვნა უნდა ექვემდებარებოდეს განხილვას, საკრებულოსათვის უნდა იყოს ცნობილი. ის რეკომენდაციები, რომლებიც გაიცემა სამსახურის მიერ, განხილულ უნდა იქნეს საკრებულოს შესაბამის დარგობრივ კომისიაზე. მინდა წარმატება გისურვოთ ბატონო გიგა. სამსახურს ძალიან აკადემიურად უძღვებით. ყოველთვის საინტერესოა თქვენი მოხსენება. ამ სამსახურის თითოეულ თანამშრომელს ვუსურვებ წარმატებას.

აქვე მინდა **განცხადება** გავაკეთო. ჩვენი სტუმრები, რომლებიც აქ ბრძანდებოდნენ, ბატონი გიგა ტურაბელიძე „ფეისბუქ“ გვერდზე აგზავნის შეტყობინებას კაფე „სავანესთან“ დაკავშირებით. თქვენ ჩემთვის არ მოგიმართავთ. ეს არის წერილი, რომლითაც მე მომმართა მერმა და მე გავეცი პასუხი ქალაქის მერს. ჩემი ხელმოწერა ამ დოკუმენტზე ამიტომაც დევს. ამ დოკუმენტში განმარტებულია ის, რაც კანონში დევს. კანონში თეთრით შავზე წერია, რომ სკვერი გახლავთ ძირითადი განუსხვისებელი ქონება. მის გასხვისებას, ან გადაწყვეტილებას ამ ნაწილში აინიცირებს აღმასრულებელი ორგანო, ინიციატორი არის ქალაქ ქუთაისის მერი. შესაბამისად, საკრებულო ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას. საკრებულო გადაწყვეტილებას იღებს შემადგენლობის 2/3-ის თანხმობის საფუძველზე. სკვერი არის ქალაქის ისტორიული საკუთრება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. ამის უგულებელყოფა ჩემთვის და საკრებულოს წევრებისათვის არის მიუღებელი და ის რომ რეაბილიტაციის პროცესში ამ სკვერში საფეხბურთო მოედანი კეთდება, ეს გახლავთ ტყუილი. არსებობს რეაბილიტაციის პროექტი. თქვენ შეგიძლიათ ნახოთ რეაბილიტაციის პროექტი. რეაბილიტაცია მოხდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან შეთანხმებით. თქვენ საკრებულოსთვის, საკრებულოს თავმჯდომარისთვის არასოდეს არ მოგიმართავთ და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ საკრებულო, საკრებულოს შესაბამისი კომისია მზად არის თქვენთან თანამშრომლობისათვის. რაც შეეხება ჩვენი ოპონენტებისა და მისი ფრაქციის წარმომადგენლების პოზიციას, მიუღებელია მათი მხრიდან ფიზიკური პირის ქონებაზე

რამე ტიპის განაცხადი. ეს ის ხალხია, ბიზნესმენებს ქონების გადაფორმებას რომ თხოვდნენ. ეს ის ხალხია, რომელთაც კერძო საკუთრებიდან, მანქანები მიყავდათ. ბევრი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო. საკრებულოს წევრები არიან აქ ამის ცოცხალი მაგალითი, იმ უმსგავსოების მსხვერპლნი, რასაც ისინი ჩადიოდნენ. ეს ის ხალხია, რომლებიც ბულდოზერით ანგრევდნენ ბინებს და კერძო საკუთრებებს. ვერ დავუჭერ მხარს იმას, რომელიც მიზანმიმართულად დაანგრევს ისტორიულ ძეგლს და ისტორიულ ნაწილს. სასამართლო გადაწყვეტილება წაიკითხეთ კარგად და უნდა ვისწავლოთ, რომ პატივი ვცეთ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამას არ მაპატიებს არც მე და არც სხვას ჩვენი თითოეული თანაქალაქელი. მოსახლეობას ყველაფერი კარგად ესმის. სტატისტიკაც ლაპარაკობს ამაზე. ნებისმიერ დროს მობრძანდით და ვისაუბროთ, მაგრამ პროვოკაციებში ვერ აგყვებით. ეს წერილიც, რაც გამოაქვეყნეთ, პროვოკაციაა. მე მომმართა ქალაქის მერმა და მე გავუზიარე ქალაქის მერს საკრებულოს პოზიცია."

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშის თაობაზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 16-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პ.ლილუაშვილი, მ.ჩიხლაძე, ბ.ხამაშურიძე, მ.რიჟამაძე, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

გამომდინარე იქედან, რომ კენჭისყრის პროცედურის ჩატარების დროს, საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა საკრებულოს წევრთა საჭირო რაოდენობა, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა დროებით გადადო.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **ლანა სვანიძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე ჩემს ანგარიშშიც აღვნიშნე, რომ მნიშვნელოვანი დოკუმენტია. დარწმუნებული ვარ ამ დოკუმენტის იმპლემენტაციის პროცესი იქნება აქტიური, როგორც ამ დოკუმენტის შექმნის პროცესი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 15-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პ.ლილუაშვილი, მ.ჩიხლაძე, ბ.ხამაშურიძე, მ.რიჟამაძე, მ.კოსტავა, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე,

კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

აღნიშნული საკითხის კენჭისყრის პროცედურის ჩატარების დროსაც, საკრებულოს სხდომაზე არ იყო ქვორუმი. გამომდინარე აქედან, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეოთხე და მეხუთე საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის 77-ე მუხლით მინიჭებული უფლებით, კენჭისყრის პროცედურები გადადო საკრებულოს უახლოესი სხდომისათვის.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25-ე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრების გამო, საკრებულოს 25-ე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25-ე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

Irakli Shengelia

Digitally signed by Irakli Shengelia
DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE
Date: 2024.06.18 11:48:38 +04'00'

ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.